საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსა, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა, საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტროსა და საქართველოს სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის ერთობლივი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №157/93/74/29

1996 წლის 24 ივლისი

ქ. თბილისი

საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1995 წლის 19 აგვისტოს №320 ბრძანებულების შესრულების უზრუნველსაყოფად და საქართველოში სოჭის თესლის (გირჩის) დამზადება-რეალიზაციის რეგულირების მიზნით, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ თ:**

1. დადგინდეს კავკასიური სოჭის თესლის (გირჩის) დაბადების და რეალიზაციის კვოტა 1996-97 წლებისათვის 20 ტონის რაოდენობით.

2. დამზადების რაიონების მიხედვით სოჭის თესლის (გირჩის) დამზადების კვოტა განაწილდეს შემდეგნაირად:

ა) ამბროლაურის რაიონი – 18 ტ.

ბ) ბორჯომის რაიონი – 2ტ.

3. საქართველოს სატყეო მეურნეობის დეპარტამენტმა, საქართველოს გარემოსa და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ მმართველობის ადგილობრივი ორგანოების ხელშეწყობით განსაზღვრონ სოჭის თესლის (გირჩის) დამზადების ზონები.

4. სოჭის თესლის (გირჩის) დამზადება, ექსპორტი, სათანადო ლიცენზიების გაცემა (ლიცენზიები დამზადებაზე და საექსპორტო ლიცენზიები) და ექსპორტის შედეგად მიღებული ამონაგებიდან საბიუჯეტო გადასახადების განაწილება მოხდეს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 19 აგვისტოს №320 და 27 სექტემბრის №386 ბრძანებულებების შესაბამისად.

5. საქართველოს სატყეო მეურნეობის დეპარტამენტმა და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ შესაბამისი რაიონების მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან, სხვა დაინტერესებულ უწყებებთან ერთად თავისი კომპეტენციის ფარგლებში დააწესონ მკაცრი კონტროლი სოჭის თესლის (გირჩის)
დამზადებაზე დადგენილი კვოტების ფარგლებში.

საქართველოს ეკონომიკის მინისტრი ვ. პაპავა

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი
რესურსების დაცვის მინისტრი ნ. ჩხობაძე

საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო
ეკონომიკური ურთიერთობის მინისტრი კ. ზალდასტანიშვილი

საქართველოს სატყეო მეურნეობის
დეპარტამენტის თავმჯდომარე ბ. ჯაფარიძე